572
1975

1975 ოქტომბერი N 10

ჭიანჭველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველი

გიორგი წერეთელი

ხარისთვალამ და მანათამ
ასი თვალი დამანათა...
ნინო პირველ კალათს ავსებს,
მე მოვკრიფე ცხრა კალათა—
შესანახად, სასუსნავად,
გასაგზავნი ამანათად...

ჩურჩხელების თითისტარზე
მზის სხივებად დასართველი,
ჭერში დასაკიდებელი,
კიდობანში ჩასათვლელი—
იკრიფება, იწურება...
ვენახებში ჩადგა რთველი.

ნახატი ომარ ჩუბინიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღელეში

ქეთევან ჭილაშვილი

შუა სოფელში, ღელეს აქეთ, კუდრაჭაანი ცხოვრობენ, ღელეს იქით—კუსპარაანი. მერე რა? მე თქვენ გეტყვით, გოგონებს წყალი ყელამდე სწვდებათ და ვერ გადი-გამოდიან სათამაშოდ! შხაპაშხუპი, შხაპაშხუპი და, ესეც მეორე ნაპირი.

დღეს კი სათამაშოდ ვერ მოიცალა კუსპარამ, ღელეში თავის კაბებს რეცხავდა. კუდრაჭამ თვალი მოჰკრა თუ არა ნაპირზე აფუსფუსებულ დობილს, თვითონაც საქმე გამოიჩინა, გოჭების სალაფავისათვის გობით ქატო ჩამოიტანა. ერთმანეთს მიესალმნენ.

— დილაადრიან სარეცხი წამოგიწყია, კუსპარო!

— სარეცხი მზეზე უნდა გაშრეს!

მიჰყვნენ-მოჰყვნენ გოგოები მასლაათს: კინკრიხოს ეგნას ჭერამი გაუკრეფიაო, წანწალას მგელი შეჰფეთებია ჭალაშიო, ფესკანას ფეხში თოხი ჩაურტყიაო, კოკობზიკას ხბო დაჰკარგვიაო... ეჰეი, რა დალევს მითქმა-მოთქმას.

— სარეცხი მიგვიანდებაო, — მიუბრუნდა საქმეს კუსპარა.

— გეთაყვა, ცოტა მადროვე, წყალი არ ამიმღვრიო, გოჭებს სალაფავი უნდა ავურიო,—გობი მოიმარჯვა კუდრაჭამ.

— მანამ ნურა უჭამიათ შენ გოჭებს, მე სარეცხიდან ხელი არ ამოვიღო!

— ეგ ენა კი მოგძვრეს ძირში!—დაიძაგრა კუდრაჭა.

— ხმა ჩაიწყვიტე, შე ჭორიკრიკე!

— ჭორიკრიკეცა ხარ და არც არა იცი რა...

— შენოდენა ჭკუა მე თითის ფრჩხილებში მაქვს!..

— იქნება თქვა, ჭკუის კოლოფი ვარო!

— რატომაც არ ვიტყვი, ენას ჭავლი მომედება!

— აკი ენასარსარას გეძახიან!

— სარსარას ხმა მესმის!..

— გაჩე, გოგო, თორემ...—კუსპარამ კენჭს წამოავლო ხელი და, ტყაპ! ღელეში ჩაუძახა.

— ციც!—თითი დაუქნია კუდრაჭამ.

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნელა, თითი არ მოგვარდეს!

— ხმა ჩაიწყვიტე!—ღელეში შეტოპა კუდრაჭამ.

— თუ კარგია, შენ ჩაიწყვიტე!—შემოტოპა კუსპარამაც.

— ჩამომეცალე, თორემ კაწაწებით გითრევ!

— ვისა?—წასწვდა ბუწუწებში გააშარებული კუსპარა.

აქეთ ძიძგი! იქით ძიძგი!

ღელემ ითაკილა, ეს ვინ ამამღვრიაო, ამძლავრა ტალღები და მოჩხუბრებს ფეხქვეშ მიწა გამოაცალა.

— ვაი!

— უი! —აწრიალდნენ გოგოები და ერთმანეთს ჩაებღაუჭნენ.

— ნუ გეშინია, კუდრაჭო! — ხელი ხელს მისცეს დობილებმა და გაწუწულები მწვანიანზე გამოვიდნენ.

ღელემ, არავინ გაიგოსო, უჩუმრად ჩაიხვია ტალღებში ამათი ჩხუბი, გაჰკრა და გაუტია.

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

შემოდგომა

ციცა ქიგიაშვილი

ძოუწეენიათ წეროებს,
გუნდი გაფრენას აპირებს,
თვალცრემლიანნი დასცქერენ
ლაშაზი ტბების ნაპირებს.
გუბეში დგანან მდუმარედ
განჭაკეცილი ეანჩებიც,
მხოლოდ ბაყაყი ეიეინებს:
— თქვენ წახვალთ,
მე აქ დავრჩები!

ნახატი გიორგი როინიშვილისა

პაპა კახის ბაღი

ევგენი ბართაია

ნახატი ომარ მესხისა

უკვე უკან მოიტოვა პაპამ ასი ზაფხული,
ასი კაცის ჭკუა აქვს, ასი თვალი და ყური.
მუხის კუნძზე ჩამოჯდა, მუხასავით ძველი...
პირში—გრძელი ჩიბუხი, ხელში—ჯოხი გრძელი!
— აბა, ჩქარა ბარი! აბა, ჩქარა თოხი!—
ბრაზობს პაპა კახი,—პაპას ხმა აქვს ბოხი.
— ის აქ დარგეთ,— ბრძანებს,—ეს აქ დარგეთ, სწრაფად!
ნერგს ხან ერთ ბავშვს მიუგდებს, ხან—მეორეს, პაპა!
ზოგმა ორმო ამოთხარა, ზოგმა დარგო ნერგი,
ზოგმა თხრილი შემოავლო ლობე-ყორეს, ხერგილს:
არ წალეკოს ღვარმა ატამი და თხილი,
მოვა დრო და ბაღი აივსება ხილით!
პაპას რა ენაღვლება—ამუშავებს „მუშებს“,
ვინც თავს არ გამოიჩენს, შინ არ შემოუშვებს.
— ვინც არ იცის შრომის ან ამ ბაღის ფასი,—
დღეს მთელი დღე უჭმელი და უსმელი დასვით!—
პაპას რისხვას რა გაუძლებს! „მტრისას“ კახი პაპა!
აბა, გოგი, დატრიალდი!
აბა, ვანო, სწრაფად!
წვიმამ რომ არ მოგვისწროს, ქარმა რომ არ გვავნოს,—
ჩქარა, ბიჭო, გოგია!
ჩქარა, ბიჭო, ვანო!
პაპას გულში ეღიმება, არ კი იმჩნევს ღიმილს...
უსათუოდ აივსება პაპას ბაღი ხილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავეტიქ ისააკიანი

შესრულდა 100 წელი, გამოჩენილი სომეხი მწერლის ავეტიქ ისააკიანის დაბადებიდან. ვბეჭდავთ მის მოთხრობას, რომელიც ქართულად თარგმნა არჩილ დავითიანმა.

ნახატი **ვახტანგ გულისაშვილისა**

ნუკრი

,,ერთ მონადირეს მთებში შვლის ნუკრი დაეჭირა და ჩემს ბავშვებს საჩუქრად მოუყვანა.

— ასე დაიწყო ამბის მოყოლა ჩემმა მეგობარმა.

ეს იყო ჭრელი, ლამაზი ნუკრი. გრძელი, ნაზი წამწამების ქვეშ—შავი, ღრმა, ნათელი თვალები უბრწყინავდა.

პირველ ხანებში, რომ ვეფერებოდით, მთელი სხეულით თრთოდა, კანკალებდა, გული შიშისაგან პეპელას ფრთებივით უფათქუნებდა.

მერე კი ნელ-ნელა შეგვეჩვია. აღარ გაგვირბოდა, აღარ ეშინოდა. განსაკუთრებით ბავშვებს დაუმეგობრდა. მათთან ერთად დახტოდა ეზოში, მათთან ჭამდა, მათთან ეძინა.

მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებდა: მიჩვევით კი მიგვეჩვია, მაგრამ ხანდახან მალულად აივანზე ავიდოდა ხოლმე და იქიდან ჩუმად გასცქეროდა ტყით დაფარულ მთებს, ყურდაცქვეტილი უსმენდა ტყის ყრუ ხმაურს, რომელიც დროდადრო ხან მატულობდა, ხან მინელდებოდა. გარინდებითა და თავდავიწყებით უსმენდა.

ალბათ გრძნობდა, რომ თვითონაც ოდესღაც იმ აშრიალებული ტყის თავისუფალი შვილი იყო, რომ ის ყრუ შრიალი იყო მისი პირველი უტკბილესი ნანა.

საბრალო ნუკრი!..—ეტყობოდა ენატრებოდა მოალერსე ტყე, მოჩხრიალე ნაკადულები, მასავით ჭრელი დედა და ანცი თანატოლები. ამ გონიერ არსებას ჩვენსავით მგრძნობიარე გული ჰქონდა.

ერთ ქარიშხლიან ღამეს, კარ-ფანჯრებს რომ ზრიალი გაუდიოდა, ტყის სიღრმიდან წამოსული შრიალ-გრიალი ისე ახლოს მოისმა, თითქოს ზედ კართან ხმაურობდა და გუგუნებდა ტყე.

შეშინებული ბავშვები ერთად შეყუჟულიყვნენ, შიშისაგან აცახცახებული ნუკრიც მათთან იყო. თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა, მთელი არსებით სმენადქცეული ყურს უგდებდა ტყის მქუხარე გრიალს, მშობლიურ ენაზე რომ ელაპარაკებოდა.

ერთბაშად უფრო ძალუმად დაჰბერა ქარმა, ფანჯრის დარაბები შემოგლიჯა და საშინელი გრიალით შემოიჭრა ოთახში. ნუკრი ერთი ნახტომით ფანჯარასთან გაჩნდა, დაჟინებით მიაჩერდა ახმაურებულ წყვდიადს, მერე თვალის დახამხამებაში ფანჯრიდან ეზოში ისკუპა და წყვდიადში გაუჩინარდა...

აბა, სცადეთ და იპოვეთ თავის მშობლიურ უკიდეგანო ტყეებში''...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათურა და ხატაურა

ნუნუ ლაღიძე

ნახატი თამაზ ხუციშვილისა

— წამოდი ჩვენსა, რა გაჩვენო!—აქოშინებული მოვარდა ვანო.

— რა უნდა მაჩვენო?

— წამოდი და ნახავ!

ავდექი და, უკან დავედევნე—ვანო საბძელში შევიდა. მეც მივყე...

ძაღლს ღეკვები დაეყარა.

— ერთი ღეკვი მაჩუქე!—ვთხოვე.

— ჯერ ძუძუს სწოვენ. რომ წამოიზრდებიან, მოგცემ,—დამპირდა ვანო. იმ ერთ ღეკვს სახელდახელოდ ნიშანიც შევაბი და მოუთმენლად ველოდი, როდის წამოვიყვანდი.

ეს დღეც მაღე დადგა. ღეკვები კი წამოვიყვანე, მაგრამ ბებიას ამბავი რომ ვიცოდი, შინ როგორ შემაყვანინებდა!

ავდექი და, ბათურა ჩვენს საბძელში დავმაღე. ჩუმად ვუვლიდი. საბძელში ჩვენი ხატაურაც დამყვებოდა ხოლმე და ორივეს ერთდროულად ვაჭმევდი.

კატა პირველად იბღვირებოდა, ვერ იტანდა, ღეკვს რომ ვეფერებოდი, მაგრამ მაღე შეეჩვია.

ერთხელ, როცა ბათურას საჭმელი მივუტანე, გაოცებული დავრჩი: ხატაურა ღეკვთან დამხვდა,—ერთად უცდიდნენ საჭმელს...

მას აქეთ ერთმანეთს აღარ შორდებოდნენ. გვერდიგვერდ იწვნენ და ისე თამაშობდნენ.

ერთ დღეს, სკოლიდან რომ დავბრუნდი, ბებიამ წყრომით შემომხედა.

— რა იყო, ბებია?!—ვკითხე გაოცებულმა.

— რა და, კატა ველარ მიპოვნია; აღბათ შენმა ძაღლმა გამიძევა.

საბძელში შევვარდი,—აღარც ღეკვი დამხვდა და აღარც კატა. ბებოსათვის აღარაფერი მითქვამს. ვანოსთან გავიქეცი.

ბიჭოს, რას ვხედავ!—წამოკოტრიალებულან ეზოში ჩემი ძაღლი და კატა და არხეინად თამაშობენ.

— აბა, რა გეგონა,—მომაძახა ვანომ,—ხომ ხედავ, ბათურამ არ დამივიწყა, თვითონ დაბრუნდა ჩემთან და ხატაურაც თან მოიყვანა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

თამარ კალაგოზი

ოღზე უკრავს კოდაღა,
ბურნას ბერავს გუგული,
მთელ ულრან ტყეს ედება
მაყურებლის გუგუნი.

ჭიდაობენ ბეღები,
გადათელეს ბაღახი,
არის ერთი გნიასი,
კისრული და მაღაყი.

უცებ შეწყდა ჩოჩქოლი,
მეხმა დაიგრიალა,—
ედადათვის ბურდღუნი
მოიტანა ნიავმა.

მოდის ფიჩხის ღაწუნით:
— ახლა ხომ გაჩერდებით!—
შინდის წნელით ორთავეს
აუპრეღა გვერდები!

ხათუნას ღექსი

უშანგი ბედია

ნუთუ მართლა სამოცი წლის
გახდი, ჩემო პაპა?
რა ვქნა, როგორ მოგიღოცო;
პატარა რომ არ ხარ?!
თოჯინები მოგიტანო?
რა უნდა თქვას ხალხმა?

ისევ კოცნით მოგიღოცავ,
გულს აგივსებ ღხენით,
აბა, სხვა რით გაგახარებს
შვილიშვილი შენი.

მურია

ნაზი ჭარიელაშვილი

სოფელს შარა ორად ყოფს,
გზას დარაჯობს მურია,
იცის—უცხო ვინ არის
და ვინ შინაურია.
მტერს უყეფს და...
არ აკლებს
ერთგულებას მოყვარეს,
თუ ბიჭი ხარ, მიდი და,
აბა, რამე მოპარე!

ნახატი მანანა მორჩილაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თაიგული

ნინო ბეზარაშვილი | ნახატი ზაურ ღვინაძისა

ღამე ტყე სულ სხვანაირი იყო. ვერხვის ფოთლები ვერცხლისფრად ელავდნენ. მუხები და თელები კი ისე ჩამუქდებოდნენ ხოლმე, თითქოს შავი ნაბდები წამოისხესო.

ხანდახან ნიავი აცელქდებოდა, ჩაუქროლებდა ტყეს, გაალვიძებდა ხეებს, ბუჩქებს, ბალახებს. მერე ისინი ჩურჩულით უყვებოდნენ ერთმანეთს საოცარ სიზმრებს ან ჩიტის მოტანილ ამბებს.

ერთხელ ქარიშხალი ამოვარდა ტყეში. შეუტია ხეებს, ბუჩქებს, ბალახებს, სულ ძირ-ფესვიანად შეარხია. ფოთლები გაყარეანა, ღეროები დაამტვრია, ზოგი ძირს ჩამოყარა, ზოგი ჩამოხლიჩა. მერე ფოთლები ჰაერში აიტაცა და ტყის პირას მდგარ დაბალი სახლის ლია სარკმელში შეაფრიალა. იქ კი პატარა გოგონას ეძინა.

ხმაურზე გოგონას გაელვიძა. ოთახში ფოთლების ხაამური სურნელი დატრიალებულიყო, კაცს ეგონებოდა, სუნამოები მოუსხურებიათო.

გოგონა ადგა. დილის კაბა ჩაიცვა და სარკმლიდან გაიხედა. ტყეში ქარიშხალი ბობოქრობდა, ხეებსა და ბუჩქებს ერთმანეთს უხათქუნებდა.

— არ დაგლიჯო ქარო ხეები, ისედაც პატარა ტყეა, გაჩერდი, გეხვეწები, გაჩერდი!—სთხოვა გოგონამ ქარს, მაგრამ ქარმა არ შეისმინა მისი მუდარა.

— არ გაჩერდები! მე ასეთი ხასიათი მაქვს, უნდა ვიქროლო!—მიუგო ქარმა და უფრო მეტად შეუტია ტყეს.

მართლაც, მთელი ღამე იქროლა და მერე ძლივს ჩადგა.

გათენებისას გოგონა ტყეში შევიდა. უნდოდა ენახა, ქარიშხლის მერე რა დღეში იყვნენ ხეები და ბუჩქები.

დადის გოგონა ტყეში, ათვალიერებს ხეებს, ბუჩქებს, ბალახებს და რას ხედავს: ქარისაგან დამტვრეული ტოტებით არის მოფენილი მიწა.

ზოგიც ისევ ხეზე ჰკიდია ძაფის სიმსხო კანით.

— დაწუნარდი, მოისვენე? რა გინდოდა, რად დაამტვრიე ხეებს ტოტები, რად გააყრევინე უვავილები, დაგიშავეს რამე?!—ხაყვედურობდა გოგონა ქარს, მაგრამ ქარი უკვე შორს იყო, მალალი მთების იქით და მისი სიტყვები არ ესმოდა.

გოგონას შეეცოდა დამტვრეული ტოტები.

„ახლა მალე მზე ამოვა, დაიცხუნებს და მთლად დააჭკნობს,“ ჩურჩულებდა გოგონა. თან ჭკრეფდა ძირს დაყრილ ულორტებს. ჩამოხლეჩილ ღეროებსაც აცლიდა ხეებს და ნელა, ფრთხილად აწყობდა ერთმანეთზე. როცა კონად შეკრა, შინ წაიღო, ძველებურ თიხის ლარნაკში წყალი ჩასხა, შიგ ჩადო და ლია სარკმელში გამოდგა.

თაიგული იყო და თაიგული!

ჩიტივაშლას მოალისფრო ნაყოფით დახუნძლულ ულორტს მუქ-მწვანე ფოთლებიანი მუხის რტო ესადგებოდა. ვარდისფრად შენისლულ თრიმლსა და შვინდანწლას ვერცხლისფერი ვერხვის ულორტი, ბდღვრიალა ნეკერჩხალი ხასხასა მწვანეს შეხამებოდა და ისეთი ლამაზი იყო თაიგული მართლაც ღირდა საყურებლად.

გადიოდა დრო. თაიგული ისევ ცოცხლად იდგა ლარნაკში. ისევ ბრდღვიალებდა ნეკერჩხლის ულორტის წვერო და მწვანედ სივსივებდნენ ცაცხვის ფოთლები.

ტყე თვალს არ აშორებდა მოფუსფუსე პატარა გოგონას, რომელიც მალ-მალე უცვლიდა წყალს თაიგულს, ფოთლებს უსწორებდა.

სიამოვნებით იშმუშნებოდა ტყე, ჩურჩულებდა, დუდუნებდა. ხეები და ბუჩქები დინჯად ხრიდნენ ძირს ტოტებს და შორიდან მადლობას უხდიდნენ პატარა გოგონას, მათ ღეროებს ასე ერთგულად რომ უვლიდა და სიცოცხლეს უგრძელებდა.

მარიჯან

ეკა და ბატი

ეკამ ბატი დაინახა
და ჭიშკრიდან დაუძახა:
— ბატო, ბატო, თეთრო ბატო,
რად მირბიხარ მარტოდმარტო?
კარს გაგიღებ, მოდი ჩვენსა,
გაჭმევ პურსა, გაჭმევ ქერსა.—
ბატმა არც კი მოუსმინა,
ეკას გვერდით ჩაურბინა.
და ნაწყენი დარჩა ეკა
და შესჩივლა თავის დედას:
— რა უზრდელი ბატი იყო,
ჩემკენ არც კი მოიხედა.—

ეკას ლექსი

— აბა, გამიგონეთ,
ლექსი მოვიგონე:
„მიცუნცულებს მელა,
შეხვდა საფრთხობელა,
შეეშინდა მელას,
დაუძახა ყველას:
— ჩქარა, მინდა შველა!
შემჭამს საფრთხობელა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა და ციკანი

აგარაკზე სახლის პატრონს
ციკანი ჰყავს დაბმული.
ყოველ დილით ჩვენი ეკა
იმით არის გართული!
„მე ვარ ეკა,
შენ ბე-კე-კა!
მებრალები დაბმული ხარ,
ჩემთან ბაღში ვერ დადიხარ.
ჩემს სადილსაც შენ გაგიყოფ,
მუდამ ერთად ვიყოთ.
მე ვარ ეკა,
შენ ბე-კე-კა!

ნახატები **მანანა მორჩილაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცნაური მხატვრის ფლაპარი

გურამ პეტრიაშვილი

ერთ ღრუბლიან დილით პატარა ქალაქის მოქალაქეებმა დაინახეს, რომ დიდ ღრუბლებს ერთი პაწია ღრუბელი გამოეყო და წამოვიდა ქალაქისაკენ.

ეს ღრუბელი სხვა ღრუბლებს არ ჰგავდა, იისფერი იყო და თითქოს ანათებდა კიდეც.

იისფერი ღრუბელი ძირს დაეშვა და ქალაქის ერთ ქუჩაზე ჩამოფრინდა... უყურებდნენ მოქალაქენი; სქელი ლეიბივით იდო ღრუბელი...

მართლა ლეიბს ჰგავდა, რადგან ყველამ დაინახა, რომ ღრუბელზე კაცი იწვა.

კაცს ეძინა. მოქალაქეთა ხმაურზე გამოეღვიძა, ხალხს მიესალმა, გადმოვიდა ღრუბლიდან, გადმოიღო მოლბერტი, ჯიბიდან ფუნჯები ამოიღო და ხატვა დაიწყო.

იისფერი ღრუბელი კი ნელა ასცილდა მიწას და გაფრინდა ცაში.

ხატავდა კაცი რაღაცას.

უცნაური ის იყო, რომ საღებავები არ ჰქონდა კაცს. შვიდი სხვადასხვა ფერის ფუნჯი ჰქონდა და უბრალოდ, რა ფერის ფუნჯსაც წაუსვამდა, იმ ფერის ლაქა ჩნდებოდა ნახატზე.

მერე უფრო გაოცდნენ მოქალაქენი. უცებ კაცი გაჩერდა, ძირს დაიხედა და სახე მოეღრუბლა. ჩაიმუხლა და ქვაფენილის გაფერადება დაიწყო.

— რას აკეთებსო? — ერთმანეთს ეკითხებოდნენ.

ამასობაში მზე გამოვიდა ღრუბლებიდან და ყველამ დაინახა, რომ იმ ადგილას, სადაც კაცი ქვაფენილს აფერადებდა, ამ კაცის ჩრდილი იყო.

აფერადებდა კაცი ჩრდილს. უსვამდა ფუნჯს, მონდომებით ირჩევდა ფერებს, მაგრამ ვერ ახერხებდა ჩრდილის მთლად გაფერადებას: თვითონ რომ წაიწევდა წინ, ჩრდილიც წაიწევდა და მისდევდა ამაოდ...

ნახატები **ომარ მესხისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს კაცი გამოერკვა, დაბრუნდა მოლბერტთან, დახედა დაუმთავრებელ ნახატს და ამოიოხრა.

ჩამოფრინდა იისფერი ღრუბელი.

აიტანა კაცმა ღრუბელზე მოლბერტი და გაფრინდა...

დილით კვლავ მოფრინდა ქალაქში ჩრდილიხატია კაცი.

კვლავ დააპირა ხატვა, მაგრამ კვლავ მოაგონდა თავისი ჩრდილი და დაუწყო გაფერადება.

ახლა კაცი ტროტუარზე იყო და ჩრდილი მაღლა კედელს მიადგა. ეს კედელი ვიღაცის ეზოს ჰქონდა შემოვლებული. კაცი კედელს რომ აფერადებდა, გამოვარდა კედლის პატრონი და გაექანა კაცისკენ, შენ ეი, რა ამბავში ხარო! კაცს არ გაუგია. ის ჩრდილზე ფიქრობდა.

კედლის პატრონი ვიღაცამ გააჩერა, მოიცა, ვნახოთ, ბოლოს რა მოხდებაო.

რაღა უნდა მოხდეს, კედელი გამითხუპნაო,—ყვიროდა კედლის პატრონი.

მოქალაქეებში ატყდა კამათი: ზოგი ამბობდა, ქალაქიდან გავაგდოთ ჩრდილიხატია კაციო. სხვები კი ეუბნებოდნენ, ჯერ დავაცადოთ, ვნახოთ მოლბერტზე რას ხატავსო. ბოლოს და ბოლოს, ამათ გაიმარჯვეს, რადგან ყველას აინტერესებდა, მართლა რას ხატავდა კაცი.

უყურებდნენ დაწყებულ ნახატს და ყველა თავის აზრს გამოსთქვამდა:

— ეს ნამდვილად დიდი კომბოსტოაო!— ამბობდა ერთი.

— კომბოსტო კი არა, მე მგონი, კარადაა!—ამბობდა მეორე.

— როგორ?! ვერ ხედავთ, ბალიშიაო!— ამბობდა მთქნარებით მესამე...

ჩრდილიხატიას კი ერთი კაცი მიუჩინეს, მისცეს ამ კაცს დიდი ვედრო და დიდი ფუნჯი, ჩაუსხეს ვედროში რუხი საღებავი და უთხრეს, რასაც ის გააფერადებს, შენ ისევ ამ ფერად შეღებეო.

...ყოველდღე ჩამოდიოდა იისფერი ღრუბელი ქალაქში.

ებრძოდა ჩრდილიხატია თავის ჩრდილს, უკან კი ჩრდილივით დასდევდა დიდფუნჯიანი კაცი და რუხფრად თხუპნიდა იმის გაფერადებულს.

ასე გრძელდებოდა დიდხანს. მოქალაქეები ისე შეეჩვიენ ამას, რომ თითქმის დაავიწყდათ კიდეც ჩრდილიხატიას არსებობა. ეს იყო, ხანდახან ვინმე თუ გაჩერდებოდა მის მოლბერტთან, დაჰხედავდა და იტყოდა: კიდევ არ დაუმთავრებიაო.

მხოლოდ ბავშვებს უყვარდათ ჩრდილიხატია. ის ხომ ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ, ჩრდილს რომ აფერადებდა! ჰოდა, მოიტანდნენ ბავშვები თავიანთ სათამაშოებს, ბურთებს, რვეულებს, წიგნებს, დაუდებდნენ ჩრდილში და ისიც აფერადებდა ყველაფერს...

გადიოდა დრო... აფერადებდა ჩრდილს კაცი, დასდევდა უკან დიდფუნჯიანი თხუპნია.

პირველ ხანებში თხუპნიას მოსწონდა თავისი საქმე, მერე და მერე თანდათან მობეზრდა. საქმე იმაშია, რომ რაიმეს კოხტად გაფერადება მიმზიდველი და სახალისო რამაა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუნჯის აღმა-დაღმა უაზროდ ქნევა კი—მოსაწყენია.

ამას გარდა, თხუპნიას სხვაგვარადაც წაუვიდა ცუდად საქმე.

სალამოსპირას, მზე რომ გადავიდოდა, ჩრდილიხატიას დაგრძელებული ჩრდილი შენობების კედლებს მიადგებოდა ხოლმე. ჩრდილიხატია ისე იყო გართული თავისი საქმით, რომ ყველაფერს ივიწყებდა და ისე აჰყვებოდა კედელს, თითქოს მიწაზე დადისო. დადიოდა კედელზე და აფერადებდა რჩდილს. თხუპნიას კი გრძელი კიბის თრევა უხდებოდა, რომ ისევ რუხად შეელება იმის გაფერადებული.

ამაზე კი მთლად გადაირია თხუპნია...

და ერთ სალამოს, როცა იისფერი ღრუბელი ჩამოვიდა მიწაზე, ჩრდილიხატია აღარსად ჩანდა. მხოლოდ თხუპნია იღიმებოდა კმაყოფილი ბოროტად.

ელოდა იისფერი ღრუბელი ჩრდილხატიას, ელოდა და, როცა აღარ მოვიდა კაცი, ღრუბელი წავიდა მაღლა...

მერე უცებ გაწვიმდა.

თბილი იყო წვიმა და როცა მაღლა აიხედეს, მოქალაქეებს თვალში ჩაუცვივდათ წვიმის წვეთები და საშინლად აეწვათ თვალი. ეს რაღა უბედურებაა ო,—თქვეს, გაიქცნენ და სახლებში შეიმალნენ...

წვიმდა მთელი ღამე.

დილით კი, გარეთ რომ გამოიხედეს, გაოცდნენ:

იმ უცნაური წვიმის წვეთებს ჩამოერეცხა თხუპნიას საღებავი და საოცრად აფერადებულიყო შენობები, ქვაფენილები, მესერები და ყველაფერი.

თურმე თავისი ჩრდილის დევნაში მთელი ქალაქი გაეფერადებინა ჩრდილიხატიას...

გახარებული დადიოდა ქუჩებში ხალხი...

მას შემდეგ მრავალმა წელმა ჩაიარა.

მაგრამ კედლებზე შერჩენილია ის ფერები. მათ ვერაფერი მოაცილებს კედლებს, რადგან, თქვენც ხომ მიხვდით, ის ფუნჯები ცისარტყელაში ჰქონდა ამოვლებული ჩრდილიხატიას.

ის წვიმა კი ჩრდილიხატიას ცრემლები იყო: ღამით ღრუბელზე რომ იწვა, თურმე ტიროდა, რადგან მას სურდა ხატვა, მაგრამ არ შეეძლო ეხატა, ვიდრე თავის ჩრდილს არ გააფერადებდა სამუდამოდ.

მისი ცრემლებით გაიჟღინთა იისფერი ღრუბელი და დააწვიმა ქალაქს.

ძნელია, ძალიან ძნელია, რომ ისეთი კაცი იყო: ჯერ ერთი, ჩრდილი უნდა გქონდეს, მეორეც, მუდამ უნდა გახსოვდეს, რომ ჩრდილი გაქვს!

ერთიც რომ იყოს და მეორეც, სად გინდა, იისფერი ღრუბელი იპოვო! და რომც იპოვო, როგორ მოახერხებ ღრუბელზე ასვლას?!

თუმცა, ვინ იცის, იქნებ ერთი პირობაც საკმარისია. იქნებ ისეა ყველაფერი მოწყობილი, რომ თუკი საკუთარი ჩრდილის გაფერადებას დაიწყებ, მაშინ თვითონ მოგნახავს იისფერი ღრუბელი, თვითონ მოადგება ერთ სალამოს შენი სახლის აივანს და თვითონ წაგიყვანს ცაში.

ნახატი ბესო ხიდაშელისა

აღიკო და ზღარბი

ლია ასათიანი

ტყეში ზღარბის სანახავად
გაცუნცულდა აღიკო.
ბევრი ძებნა, მაგრამ ზღარბი
თავის სახლში არ იყო.
თურმე იმ დროს, როცა ტყეში
მიდიოდა აღიკო,
ზღარბი მასთან წამოსულა,
სახლში მიტოვმ არ იყო.

ნინოს ოინი

— აუ! აუ! —ამბობს ნინო,
— ფისო უნდა შევაშინო. —
კატას სძინავს არხეინად,
ყეფით უვლის ბინას ნინო,
გამოცვივდნენ დედა, მამა,
ფეხზე დადგა სახლი:
— ნეტავი ვინ შემოუშვა
ჩვენთან სხვისი ძაღლი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკში

იმერი ხარაძე

ისმის მუსიკის ხმები,
აი, დაიწყო ცირკი,
ყველა სინათლე ჩაქრა,
მაშხალით დარბის ციყვი.

დათვი თამაშობს ფეხბურთს,
სპილო ხორთუმით ხატავს,
მანქანით დადის ძაღლი,
რაკეტით დაჰქრის კატა.

ლომი მეგობრობს კურდღელს,
ვეფხვთან ცეკვავენ თხები.
მთელი დარბაზი ხარობს,
ისმის მუსიკის ხმები.

ფისაჰვილები

ლილი ნუცუბიძე

მურიკელა მურიას
ურმით მოაქვს საფქვავი,
ფისოს მოაქვს ვერტმფრენით,
მელაკუდას—მანქანით.

მგელი მგლურად მიუხტა
მეწისქვილე დათუჩას:
— მე ურიგოდ დამიფქვი,
სხვისი დარჩეს, რა უშავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეუნეის ეკალი

კაკლის ხე

იოსებ ჩოდრიშვილი

საქართველოს ტერიტორიის მესამედზე მეტი ტყეებს უკავია, ტყით არის დაფარული ჩვენი მთა და ბარი.

ტყე იცავს მიწას დაშლისა და გამოფიტვისაგან. საკურორტო მნიშვნელობაც აქვს: სადაც ტყეა, იქ წყაროებიც მოჩუხჩუხებს.

რაღა არ ხარობს ჩვენს ტყეებში: ფიჭვი, სოჭი, ნაძვი, უთხოვარი, მუხა, წაბლი, წიფელა, ცაცხვი, რცხილა, თელა...

ხეს ადამიანისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს, მაგრამ კაკლის ხეს ვერცერთი ვერ დაედრება: მისი მერქანისაგან ძვირფას ავეჯს ამზადებენ. ნაყოფი ხომ თქვენც კარგად იცით: ჯერ საჭმელად როგორია, მერე კერძების შესაკაზმად! არც ნიგვზიან ქადებზე ამბობთ უარს... ერთი კილოგრამი ნიგოზი ყუათიანობით სცვლის: სამ კილოგრამ ხორბლის პურს, ოთხ კილოგრამ საქონლის ხორცს, თხუთმეტ ლიტრა ძროხის რძეს, თექვსმეტ კილოგრამ ციტრუსების ნაყოფს...

ასი საშუალო ტანის კაკლის ნაყოფი იმდენ ზეთს იძლევა, რამდენსაც ექვსი ჰექტარი მზესუმზირის ნათესი.

ახლა ჩურჩხელა? გოზინაყი? ერთიცა და მეორეც, ასე რომ გიყვართ პატარებს, ნიგვზისაგან კეთდება.

სადაც კი ქართველი კაცი დასახლებულა, კაკლის ხე დაურგავს. ეს ხე საქართველოში მთიან ადგილებშიც გვხვდება და ბარადაც. მას რგავენ პარკებში, სკვერებში, გზის პირებზე. იგი ყველგან ლამაზია.

სადაც კაკლის ხე დგას, იქ ვერც ბუზი გაიჭაჭანებს, ვერც—კოლო და ვერც ქინქლა... მისი ფოთოლი ისეთ ნივთიერებას გამოჰყოფს, რომ მწერები სათოფეზე არ ეკარებიან.

ამიტომ ამ ხეს საავადმყოფოების, სასადილოებისა და მეცხოველეობის ფერმების გარშემოც რგავენ.

გარდა ამისა, თქვენთვის, პატარებისათვის, კაკლის ნაყოფი გასართობიც არის.

არსებობს სხვადასხვა თამაში კაკლის ნაყოფით. მაგალითად: წყვილი თუ კენტი, ანუ ლუწი-კენტა, (ესე იგი, უნდა გამოიცნო, წყვილი კაკალი უჭირავს მუჭში შენს ამხანაგს თუ კენტი); აი მეორე თამაშიც: ესვრიან კაკლებს კაკალს ანუ ჯილას, ვინც მოარტყამს, კაკლებიც მისია. ამ გასართობს ჯილაობა ჰქვია.

ორი კაკლისაგან კეთდება სათამაშო—ხრიალა, ვინც მისი გაკეთება არ იცით, თქვენს მამებს ჰკითხეთ. ხრიალას გაკეთების წესი დაიბეჭდა ჟურნალ „დილაშიც“ 1970 წლის მე-9 ნომერში.

პატარებო, როგორც ხედავთ, კაკლის ხე დიდად სასარგებლო ხეა და ამიტომ უნდა გაუფრთხილდეთ.

ნახატი თემურ ჩირინაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასოანი



ᲗᲐᲕᲡᲐᲯᲔᲮᲘ

შეავსეთ ცარიელი უჯრედები საქართველოს ქალაქების სახელებით ისე, რომ ფერად უჯრედებში მიიღოთ მსოფლიოში ცნობილი ქართველ გოგონათა ანსამბლის სახელწოდება.

შეადგინა ქ. ფოთის საშ. სკოლის მოსწავლემ **ნინო დვალიშვილმა.**

შარადა

აბა, ხაღხური ზღაპრიდან
თუ გაიხსენებ, ირმა,
ძმობიღის გადასარჩენად
ლორს რა მოსთხოვა რწყიღმა?
სიოს მეორე სახეღის
პირვეღი ბგერით ახღა
ის თანხმოვანი შეცვაღე,
რომეღიც ბოღოს ახღავს
და იგი ერთად ასხმუღი
ყურძნის მტევნები გახღავს.

ᲨᲝᲗᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ხეზე ვზივარ,
მატღებს ვიჭერ
ტოტზე მარჯვეღ გაკრუღი,
ტყეში ყვეღა გამომიცნობს
ჩემი კაკუნ-კაკუნით.

ღღენიადაგ ჭაობში ზის,
არ სჭირდება აგარაკი,
„ყიყი-ყიყი“ არის მისი
სიმღერაც და ღაპარაკიც.

ᲐᲛᲑᲠᲝᲡᲘ ᲦᲝᲮᲜᲐᲫᲔ

29705

6236/180

ეროვნული ბიბლიოთეკა
76055

ციყვუნია

გიორგი მეგრელელი

— ციყვუნია, რა გიყვარს?
— ქაქა სოკო გამხშარი.
— კიდეე, კიდეე რა გიყვარს?
— ატმის კურკა ახალი,
მაგრამ ყველას სჯობია
გაკრონლილი კაკალი.

ნახატი **ედუარდ ამბოკაძისა**

მთავარი რედაქტორის მაგიერ **იორამ ქემერბელიძე**

აარედაქციო კოლეგია: **კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მუხრან მაჭავარიანი, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი როინიშვილი** (სამხ. რედაქტორი), **რობერტ ღარიბაშვილი, გივი ძნელაძე.**

ხაკ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი. ყდაზე ნახატი **თამაზ ხუციშვილისა** გამოცემის 48-ე წელი.

ტექრედაქტორი **ენდი ფარეთელი**

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 10/VII-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IX-75 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8 ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 159.700 შეკვ. № 2822. „Дила" № 10. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.